

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ანგარიში მომზადებულია სტრატეგიული განვითარების
დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის მიერ

2016 წლის 6
თვის ანგარიში

სარჩევი


სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.....	4
სააგენტოს მისია.....	4
სტრატეგიული ამოცანები.....	4
ამოცანა N1. იდენტიფიცირებული, აღრიცხული და რეგისტრირებული სახელმწიფო ქონება.....	6
• სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი	6
• სახელმწიფო ქონების დაცვა.....	8
ამოცანა N2. მომსახურების ხარისხისა გაუმჯობესება და სერვისის განვითარება	9
• მომსახურების ცენტრები.....	9
• სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში	10
• საინფორმაციო და დისტანციური მომსახურება	10
• სააგენტოს ვებ-გვერდი	11
• სააგენტოს ვებ-პორტალი	12
• მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა	12
• მომსახურების ხარისხის მართვის ჯგუფი	13
• პროცესების დოკუმენტირება.....	13
• ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა	14
ამოცანა N3. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია.....	15
• სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხები	15
• პრივატიზების პროცესი	16
• საწარმოების კერძო სექტორში გადატანის ხელშეწყობა.....	17
• შენობა-ნაგებობების დემონტაჟის გზით პროაქტიულად გაყიდვა	17
• პროაქტიული გაყიდვების სტიმულირება	18
ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია.....	19
• კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა.....	19
• ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა	20
ამოცანა N5. ქონების ფლობასთან/საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.....	21
• შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება	21
• ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა	23

სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე	26
სააგენტოში მიმდინარე პროექტები	28
• სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“	28
• პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“	28
• არქივის ინვენტარიზაციის პროექტი	29
• ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი	30
სააგენტოს 2016 წლის 6 თვის საქმიანობის შეჯამება	31

სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2012 წლის 17 სექტემბერს დაფუძნდა და მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა, მისი მოვლა-პატრონობა. სააგენტოს საქმიანობა ორიენტირებულია ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე.

სააგენტოს საქმიანობა მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას:



ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს და მრავალ ფუნქციური მიდგომის საშუალებითა და სერვისების შეთავაზებით ემსახურება საზოგადოებას. სააგენტოს მომსახურება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს მასშტაბით.

სააგენტოს მისია

მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისების შეთავაზების გზით სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვა-განკარგვა.

სტრატეგიული ამოცანები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის იანვრიდან ივნისის პერიოდში განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას.

2016 წლის I ნახევარში:

- ✓ დაიწყო სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის პროცედურა მთელი ქვეყნის მასშტაბით
- ✓ სააგენტოს მომსახურების ცენტრებში შემოვიდა 17968 განცხადება
- ✓ იუსტიციის სახლების ფილიალების მეშვეობით სააგენტომ მიიღო 2 859 განცხადება
- ✓ რეალურ რეჟიმში გაეშვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის მოდული
- ✓ გამოცხადდა 895 აუქციონი
- ✓ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის მიზნით გამოცხადდა 6 აუქციონი
- ✓ განხორციელდა 3 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს პრივატიზება
- ✓ სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზით ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობამ 26 272 724 ლარი შეადგინა

სააგენტოს წინაშე მდგარი ყველა ძირითადი გამოწვევისა და განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით 2016 წლის დასაწყისში სააგენტოს მენეჯმენტის მიერ მოხდა ერთწლიან ჭრილში 5 სტრატეგიული ამოცანის დასახვა, მათი პრიორიტეტიზაცია მნიშვნელობის მიხედვით და თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

სტრატეგიული ამოცანები

1. იდენტიფიცირებული, აღრიცხული და რეგისტრირებული სახელმწიფო ქონება;
2. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და სერვისების განვითარება;
3. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია;
4. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ეფექტური მართვა;
5. ქონების ფლობასთან/საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამოკვეთა და გადაჭრის გზების ძიება.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სააგენტოს მიერ 2016 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმებთან, ასევე სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ამოცანებთან.

- ✓ სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა შემცირდა 37-ით
- ✓ დაინერგა მომსახურების ერთიანი სტანდარტი
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს გადაეცა 1472 უძრავი ქონება
- ✓ „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის ფარგლებში გავრცელდა 53 050 ცალი სარეკლამო ბუკლეტი
- ✓ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 75 ბენეფიციარისთვის გადაცემულია 17 699 762 ჯამური ღირებულების უძრავი ქონება. მოსალოდნელი ინვესტიციების ოდენობა კი შეადგენს 101 675 688 ლარს
- ✓ არქივის ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში 46 საქმის საარქივო დოკუმენტაციის პროგრამული უზრუნველყოფა განხორციელდა

ამოცანა N1. იდენტიფიცირებული, აღრიცხული და რეგისტრირებული სახელმწიფო ქონება

სახელმწიფო ქონების ეფექტური და გამჭვირვალე მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების შესწავლა/აღმოჩენა და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია. ამ მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროექტი, რომლის დასრულებაც იგეგმება 2016 წლის ბოლოსათვის. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს თბილისსა და რეგიონებში არსებული სახელმწიფოს კუთვნილი ქონების აღმოჩენა, დარეგისტრირება და ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის ასახვა.

- სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი



2015 წლის მარტიდან სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანია სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროექტის დასრულების შემდგომ კი დაჩქარდება პრივატიზების პროცესები, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- თბილისის მასშტაბით 27 უბნიდან აღწერილია 27-ვე უბანი და თბილისში ინვენტარიზაციის პროცესი დასრულებულია. თბილისში აღმოჩენილია **972** ობიექტი, ხოლო აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს **7 345 239 კვ.მ** (734 ჰა).
- რეგიონების მასშტაბით დასრულებულია ფოთის, მარტვილის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, აბაშის, ჩხოროწყუს, სენაკის, ქუთაისის, წყალტუბოს, ონის,

ამბროლაურის, ვანის, ბაღდათის, ცაგერის, ხაშურის, ქარელის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, თიანეთის, მცხეთის, გორის, თელავის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარელის, ახმეტის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, რუსთავის, გარდაბნის, დმანისის, ასპინძის, ბორჯომის, ადიგენის, ახალქალაქის და ახალციხის ინვენტარიზაცია.

- 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიმდინარეობს - სამტრედიის, ლენტეხის, წალენჯიხის, ხობის, ნინოწმინდის და ბოლნისის ინვენტარიზაცია. რეგიონების მასშტაბით აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მათ შორის სამოვარი) მიწის ფართობი - **5 120 940 317 კვ.მ** და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი - **162 397 682 კვ.მ**.

რაც შეეხება აღმოჩენილი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის საკითხს, სააგენტოს პოლიტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ზედდების (საკადასტრო მონაცემების ზედდება - უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების იდენტიფიკაცია უფლება რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან) შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული პროცესი დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს. ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში გასული წლის განმავლობაში თბილისში რეგისტრირებულია **78 ობიექტი**, საერთო ფართობით **2 011 751 კვ.მ**, ხოლო რეგიონებში დარეგისტრირდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - **43 041 ჰა** და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი - **17 299 164 კვ.მ**.

- სახელმწიფო ქონების დაცვა

სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, რომლის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მისი გამიჯვნა პროექტის სახით. შედეგად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უმნიშვნელოვანესი ობიექტები არის დაცული, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მთელი საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული პროექტისთვის სახსრების გამოყოფა ხდება ყოველწლიურად და პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სააგენტოს ზედამხედველობით საქართველოს მასშტაბით დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტების რაოდენობა უტოლდება 45-ს. დასაცავი ობიექტების დიდი ნაწილი განთავსებულია თბილისში და შიდა ქართლის რეგიონში. დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით.

	რეგიონი	დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტები
1	შიდა-ქართლი	15
2	თბილისი	10
3	სამეგრელო	9
4	იმერეთი	6
5	ქვემო-ქართლი	3
6	სამცხე-ჯავახეთი	2
7	კახეთი	0


გარდა ამისა 2016 წლის პირველ ნახევარში შემუშავდა სახელმწიფო ქონების დაცვის კრიტერიუმების დოკუმენტის სამუშაო ვერსია. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ სააგენტოს შესაბამისი სამსახური იხელმძღვანელებენ ამ კრიტერიუმებით სახელმწიფო ქონების დაცვის ღონისძიებების გატარებისას.

ამოცანა N2. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და სერვისის განვითარება

სააგენტოს წინაშე მდგარ გამოწვევებსა და ამოცანებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მომხმარებელთა მაქსიმალური კმაყოფილების მიღწევა, მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება. სააგენტო ორიენტირებულია მომხმარებელს შესთავაზოს სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურება.

- **მომსახურების ცენტრები**

2016 წლის განმავლობაში 1 ივლისის მდგომარეობით თბილისის მომსახურების ცენტრი მოემსახურა **14 889** მოქალაქეს. აღნიშნულ მომხმარებელთა **35 %** -მა სააგენტოს მიმართა განცხადებით, რაც **5 191** განაცხადის ტოლია. რაც შეეხება რეგიონებში მომსახურების ცენტრებში განვლილი ნახევარი წლის განმავლობაში შესული კორესპონდენციის რაოდენობას, ის **12 777** განაცხადის/წერილის ტოლია, აქედან პირველადი განცხადებების რიცხვი **4 802**-ს შეადგენს.



- სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში




სახელმწიფო ქონებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2015 წლის 2 ნოემბრიდან განხორციელდა სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სერვისების დელეგირება სსიპ - „იუსტიციის სახლისთვის“. შესაბამისად დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა სსიპ - „იუსტიციის სახლის“ ფილიალების მეშვეობით, ხელსაყრელ ადგილზე,

მომსახურების ხარისხის მაღალი სტანდარტის დაცვით, მიიღონ მომსახურება სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებზე.

2016 წლის განმავლობაში სსიპ - „იუსტიციის სახლის“ ფილიალების მეშვეობით სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულია 2 859 განცხადება.


მიღებული განცხადებების რაოდენობა



- საინფორმაციო და დისტანციური მომსახურება

2016 წლის ორი კვარტლის მონაცემებით სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა უპასუხა დაინტერესებული პირების 10 612 ზარს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოქალაქეთა სატელეფონო მომსახურების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წუთს.


ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომლებმა ონლაინ-დახმარების (Online chat) მეშვეობით 1 282 მომხმარებელს გაუწიეს კონსულტაცია. ელექტრონული ფოსტის info@nasp.gov.ge მეშვეობით კი 2016 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში 268 მოქალაქის წერილზე გაიგზავნა შესაბამისი პასუხი. მოცემული სერვისების საშუალებით მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.



• სააგენტოს ვებ-გვერდი

2014 წლის მარტიდან მოქმედებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი www.nasp.gov.ge, რომლის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში სააგენტოს ვებ-გვერდით 56 029 მოქალაქემ ისარგებლა.



ვიზიტორთა უმრავლესობა შეადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებს. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ვებ-გვერდის ვიზიტორების დიდი ნაწილის ინტერესს იწვევდა გასულ პერიოდის განმავლობაში მსხვილი

ობიექტების შესახებ აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია.

- **სააგენტოს ვებ-პორტალი**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მუშაობს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნაზე და დანერგვაზე. პორტალის დანერგვის შედეგად სააგენტო მიიღებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიან ელექტრონულ სისტემას, პორტალის მეშვეობით დანერგილი იქნება სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ელექტრონული სერვისები, ასევე პორტალზე განთავსებული იქნება ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით მოძიებული და აღრიცხული (მათ შორის ინვენტარიზაციის პროექტის შედეგად აღმოჩენილი) ობიექტების შესახებ. გარდა ამისა, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად შესაძლებელი იქნება, როგორც სხვადასხვა პროცესების გამარტივება, ასევე შრომითი რესურსის დაზოგვა. ამ პორტალის გამოყენების კიდეც ერთ დადებით ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემა დანერგოს დაჩქარებული ელექტრონული სერვისები.

2016 წლის I კვარტალში რეალურ რეჟიმში გაეშვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის მოდული და მიმდინარეობს ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობა.

დამატებით უნდა ითქვას, რომ მიმდინარეობდა მონიტორინგის მოდულის ტექნიკური ამოცანის დამუშავება საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთად. მონიტორინგის პროგრამული მოდულის საშუალებით განხორციელდება სახელმწიფო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურში სახელმწიფო ვალდებულებების აღრიცხვა და კონტროლი ხელშეკრულების დადებიდან მის დასრულებამდე.

- **მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა**

2016 წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა მუშაობა სააგენტოს მომსახურების ცენტრებში თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობების გამიჯვნასთან დაკავშირებით, რომლის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდებოდა ყველა მომსახურების ცენტრში ერთიანი პრაქტიკის დანერგვა.

აქედან გამომდინარე სააგენტოს შესაბამისი სამსახურის იდენტიფიცირებული იყო მომსახურების ცენტრებში კონკრეტული მიმართულებით მომუშავე თანამშრომლების ძირითადი უფლებამოსილებანი და შემუშავდა მათვის სამუშაო აღწერილობები.

- **მომსახურების ხარისხის მართვის ჯგუფი**

სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მომსახურების ხარისხის ამაღლება, მომსახურების ცენტრებში მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა, სერვისების დივერსიფიკაცია და დანერგვა, ასევე სააგენტოს ბიზნეს პროცესების შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიმართულებით 2016 წელს გაიმართა მომსახურების ხარისხის სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე განხილულ იქნა ამ მიმართულებით არსებული მნიშვნელოვანი საკითხები და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- **პროცესების დოკუმენტირება**


საანგარიშო პერიოდში მომზადდა წინა ხაზის თანამშრომლის სახელმძღვანელო, რომელიც გადაიგზავნა სააგენტოს მომსახურების ცენტრებში. დოკუმენტი შედგენილია სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე და გათვალისწინებულია ყველა ის მიმართულება, რომელიც წინა ხაზის თანამშრომელს ესაჭიროება ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა განხორციელდა სააგენტოს სხვადასხვა სამსახურებში არსებული ახალი პროცესების აღწერა და მათი დოკუმენტირება.

- ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მთლიანობაში დასაქმებულია **279** თანამშრომელი.

შტატში	შტატგარეშე	მოვალეობის შესრულებელი	გამოსაცდელი ვადით
198	81	3	0

- ❖ გენდერული ბალანსი სააგენტოს თანამშრომლებს შორის:



მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. დასაქმებულთა დიდმა ნაწილმა გაიარა სხვადასხვა ტიპის, საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული ტრენინგები. აგრეთვე ორგანიზაციის გამოცდილი კადრები პერიოდულად თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ სააგენტოს შედარებით ახალ კადრებს. მსგავსი აქტივობების შედეგად სააგენტო ამაღლებს სააგენტოში დასაქმებულთა კვალიფიკაციას და ასევე მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

ამოცანა N3. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გააჩნია გაყიდვების შემუშავებული პრიორიტეტები და პრივატიზების ერთიანი პოლიტიკა. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა ხელს შეუწყობს როგორც სააგენტოს სამუშაო პროცესის ოპერატიულობისა და ხარისხის გაზრდას, ასევე ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური აქტივების უკეთეს მართვასა და სარგებლის მაქსიმიზაციას. აღნიშნული კი სააგენტოს ძირითად ღირებულებას წარმოადგენს.

- სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხები

სახელმწიფო ბიუჯეტში 2016 წელს არა ფინანსური აქტივებიდან გეგმით **225 000 000** ლარის მობილიზებაა გათვალისწინებული, მათ შორის პრივატიზებიდან **75 000 000** ლარი.


პრივატიზების გეგმის მიხედვით პირველ კვარტალში სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო **9 300 000** ლარის მობილიზება, რომელიც შესრულებულია 73%-ით, ხოლო მეორე კვარტალში დაგეგმილი იყო **18 500 000** ლარი, შესრულებულია 105.3%-ით, ანუ ორი კვარტლის გეგმა სულ შესრულებულია 94.5%-ით, რაც **26 272 724** ლარს შეადგენს, ხოლო წლიური გეგმა შესრულდა 35%-ით. კერძოდ:

პერიოდი	გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტში	ფაქტობრივი შემოსავალი ბიუჯეტში	%
I კვარტ.	9 300 000	6 800 000	73.5
II კვარტ.	18 500 000	19 472 724	105.3
6 თვე სულ:	27 800 000	26 272 724	94.50

- პრივატიზების პროცესი

სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოების შედეგად 2016 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა 895 აუქციონის გამოცხადება. საანგარიშო პერიოდში შედგა 520 აუქციონი, ჩაიშალა - 348 და 16 აუქციონი შეწყდა.

❖ ცხრილი 2016 წელს გამოცხადებული აუქციონების შესახებ



უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრივატიზების პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს, ამ ეტაპზე ნაკლებად გამოყენებადი მსხვილი ობიექტების საინვესტიციო პირობებით განკარგვა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ სფეროში ქონების სარგებლის მაქსიმიზაციას.

2016 წელს პრივატიზირებული მსხვილი ობიექტების ნუსხა:

1. ზუგდიდის რაიონში, სოფელ განმუხურში მდებარე 33951 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა - 2 263 500 დოლარი. განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 10 000 000 ლარს.

2. ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 11 474.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობა - **452 000** ლარი. განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს - **600 000** ლარს.
3. ქალაქ ზუგდიდში, აღმაშენებლის ქუჩა N87-ში მდებარე 4811 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 204 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1- **1 200** ლარი. განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს - **5 000 000** ლარს.
4. ქ. ფოთში, ექსტენსიური და სამხედრო ტერიტორიებს შორის არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს - **20 000 000** დოლარი.

- **საწარმოების კერძო სექტორში გადატანის ხელშეწყობა**

სააგენტოს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს 2016 წლის განმავლობაში მინიმუმ ექვსი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს გასხვისება და მომდევნო წლებში აღნიშნული ტენდენციის გაგრძელება. 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით განხორციელდა 3 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს პრივატიზება.

- **შენობა-ნაგებობების დემონტაჟის გზით პროაქტიულად გაყიდვა**

სააგენტოსთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია სადემონტაჟო ქონებების იდენტიფიცირება და აქტიური შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის. ამ ამოცანის შესასრულებლად სააგენტოს სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება ავარიული/სადემონტაჟო ობიექტების ნუსხის მომზადება, შემდგომ ასეთი ობიექტების გასაყიდად მომზადება და დაინტერესებული პირების მოძიება. სადემონტაჟო ქონებების ნუსხა განთავსებულია ასევე სააგენტოს ვებ-გვერდზე შეთავაზების მოდულში. საანგარიშო პერიოდში შენობა-ნაგებობები დემონტაჟის მიზნით გამოცხადდა 6 აუქციონი, მათგან შედგა სამი.

- **პროაქტიული გაყიდვების სტიმულირება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაყიდვების სტიმულირების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი მიმართულებით:

- ❖ სააგენტოს წარმომადგენლების მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრების ორგანიზება და ხორციელება მათი ინტერესების სფეროები განსაზღვრა, ასევე ახალი მოთხოვნების იდენტიფიკაცია.
- ❖ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღმოჩენილი ქონებებზე დაყრდნობით მზადდება დაურეგისტრირებელი/დაუმუშავებელი ქონებების დამატებითი ნუსხა, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამისს სამსახურებს ობიექტის საპრივატიზებოდ მოსამზადებლად.
- ❖ მსხვილ ობიექტზე მზადდება შეთავაზების სრული დოკუმენტაცია (პაკეტი) პრეზენტაციის ჩათვლით და ხორციელება მათი აქტიურ შეთავაზებებში გადატანა.
- ❖ გაყიდვების სტიმულების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რეგიონული მომსახურების ცენტრების თანამშრომლებმა შეითავსონ გაყიდვების ფუნქცია. სააგენტოს მომსახურების ცენტრებში გამოიყოფა ერთი ან ორი თანამშრომელი, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან რეგიონებში ამ მიმართულებაზე. აღნიშნული თანამშრომლების შესაბამისი უნარ ჩვევების გამომუშავების მიზნით დაიგეგმა შიდა ტრენინგები (გაყიდვების მიმართულებით), რომელიც ამა წლის III კვარტალში ჩატარდება. აგრეთვე გარდა შიდა ტრენინგებისა მათ მიეწოდებათ გაყიდვების სამსახურის მონაცემთა ბაზა.

ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა. სააგენტო იყენებს უფუნქციო საწარმოების მინიმიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს მათ შემცირებას ლიკვიდაციის, შერწყმის, გაკოტრების ან რეორგანიზაციის გზით და ასევე - მოქმედი საწარმოების კერძო სექტორში გადატანის სტიმულირებას.

- **კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა**


საანგარიშო პერიოდის ბოლოს სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 149 საწარმო. არსებული მდგომარეობით სახელმწიფო საწარმოდან ეკონომიკურ საქმიანობას 47 საწარმო ეწევა, დანარჩენი კი მიეკუთვნება არამომგებიანი საწარმოთა რიცხვს. უკანასკნელთან მიმართებით სააგენტო იყენებს მინიმიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს მათი ლიკვიდაციას, გაკოტრების ან რეორგანიზაციის გზით.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვისა და კოორდინაციის სისტემის სრულყოფის მიმართულებით გრძელდება აქტიური მუშაობა და მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში სააგენტოს მიღებული აქვს 46 საწარმოს ბიზნეს-გეგმის პროექტი. მიღებული ბიზნეს-გეგმის პროექტებიდან დამტკიცდა 33.

აქვე აღსანიშნავია, რომ რეპორტინგის სისტემისა და მონაცემთა შეგროვების ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, სააგენტოს შესაბამისი სამსახური პერმანენტულ კონსულტაციას უწევს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოთა ფინანსურ მენეჯერებს.

• ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა

სააგენტო ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული არამომგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირებას. მინიმიზაციის მიმართულებით 2016 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო საწარმოთა სიიდან ამოიშალა **37** საწარმო.



საანგარიშო პერიოდში არამომგებიან საწარმოთა რაოდენობის მინიმიზაციის მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

❖ 2016 წლის 6 თვის განმავლობაში გაკოტრებული საწარმოების რიცხვი:

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	0	6
II კვარტალი	0	1
ჯამურად	0	7

❖ 2016 წლის 6 თვის განმავლობაში მართვის უფლებით გადაცემული საწარმოების რაოდენობა:

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	0	5
II კვარტალი	1	1
ჯამურად	1	6

❖ 2016 წლის 6 თვის განმავლობაში შერწყმული საწარმოების რაოდენობა:

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	0	2
II კვარტალი	13	11
ჯამურად	13	13

ამოცანა N5. ქონების ფლობასთან/საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება

თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე სააგენტოს უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების რაციონალური და გონივრული განკარგვა, რასაც ორგანიზაცია ახორციელებს სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებითა და დაცვით.

- **შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება**

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტორების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, 2013 წლის 29 ნოემბერს (N1665-III კანონი) „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების (მუხლი 48. და 491) გათვალისწინებით:

- სახელმწიფო ქონების შემძენს, მართვის უფლებით/სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს ეპატია ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის ქონების მმართველისათვის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2014 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადასახდელი პირგასამტეხლო.
- 2012 წლის 31 დეკემბრამდე სახელმწიფო ქონების აუქციონის წესით პრივატიზების/მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს უფლება მიეცათ საპრივატიზებო/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ დასაბუთებული თხოვნით მიმართონ ქონების მმართველს, რომლიც საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს წინადადებას.

2016 წლის I და II კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 5 კონტრაქტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის განმავლობაში სააგენტოს ინიციატივით განხორციელდა რამდენიმე ცვლილება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელთა თანახმადაც კონკრეტული პირები განთავისუფლდნენ დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლოსგან.


- სახელმწიფო ქონების უზუფრუქტის უფლებით მიმღებ პირებს ეპატიათ შესაბამისი ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის ქონების მმართველისათვის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2016 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს ეპატიებათ სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებით ნაკისრი სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2014 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო და გათავისუფლდებიან იმავე თარიღამდე წარმოშობილი გადაუხდელი სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან ასეთი პატიების/გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე შესაბამისი განცხადების სააგენტოსათვის 2018 წლის 1 მარტამდე წარდგენის შემთხვევაში.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის 100 ლარზე ნაკლებ ფასად შემძენი პირები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ვალდებულებებისაგან და ეპატიათ სახელმწიფო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის 2016 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შემძენი პირები (გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა) გათავისუფლდნენ სახელმწიფო ვალდებულებებისაგან, ეპატიათ სახელმწიფო ვალდებულებების (მათ შორის, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების) შეუსრულებლობისათვის 2016 წლის 1

იანვრამდე დაკისრებული/ დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო და საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულება გადაუვადდათ 2017 წლის 1 იანვრამდე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას სახელმწიფო ქონების შემძენი პირები გათავისუფლდნენ 2014 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან და ეპატიათ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2016 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სააგენტო მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო ინსტრუმენტით ცდილობს წვლილი შეიტანოს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

- **ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" 2012 წლის 16 ოქტომბრის №1/1-90 ბრძანებით შექმნილი კომისია სისტემატურად განიხილავს მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე სააგენტოში შემოსულ საკითხებს. 2016 წელს ჩატარდა 10 სხდომა, რომლებზეც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაფიქსირებული ზედდების გაუქმების და მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებული **213** საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. აქედან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა **116** განცხადებაზე. **97** შემთხვევაში კი კომისიამ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.



სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა. ამ მხრივ მიმდინარე წლის პირველ ნახევრის განმავლობაში შემდეგი სამუშაოები იქნა ჩატარებული:

- ❖ სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება - **116** ობიექტი.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
52	64	116

- ❖ თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული უძრავი ქონება - **780** ობიექტი.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
374	406	780

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გაცემული თანხმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე - **246**.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
101	145	246

- ❖ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ **1472** უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს.

	I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
ობიექტების რაოდენობა	841	631	1472

უნდა აღნიშნოს, რომ გასული 3 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კოორდინაციით დევნილის სტატუსის მქონე დევნილ ოჯახს პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცათ მთლიანობაში **12 680** სახელმწიფო ქონება.

სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ანტიკორუფციული საბჭოს მუდმივი წევრია და ჩართული იყო 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

სამოქმედო გეგმაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ორი ვალდებულებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი ვალდებულება ეხება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს და ითვალისწინებს ამ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების დანერგვას, მეორე კი საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საწარმოთა შემცირების მიმართულებით 2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები შემცირდა **37** საწარმოთი.
- ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების გეგმის ფარგლებში, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ანგარიშგების პროცესის სრულყოფის მიზნით განხორციელდა მონაცემთა შეგროვების ელექტრონული ფორმის განახლება/მოდერნიზება. აღნიშნული შაბლონის საშუალებით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მიერ ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდება დაიწყო გასული წლის დეკემბრიდან.
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გამჭვირვალობის, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფისა და ანგარიშგების პროცესის სრულყოფის მიზნით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება იგეგმება 2016 წლის III კვარტალში ტრენინგები. ტრენინგი შედგება ორი ნაწილისგან, პირველი მოდულში განხილულ იყო სახელმწიფო საწარმოთა მონაცემთა შეგროვების განახლებული ფორმა (Data Collection Template), წარმოდგენილი იქნა ინსტრუქცია მონაცემთა შეგროვების ფორმის შევსების შესახებ და ასევე, განხორციელდა ფინანსური უწყისების შევსებისას ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომების ანალიზი. მეორე მოდული მოიცავდა სახელმწიფო

საწარმოთა საკუთრებაში რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესს, საწარმოთა რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და საწარმოების მიერ განსახორციელებელი შესყიდვების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცედურებს.

- ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით, მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში 1000-ზე მეტ სოფელში სასოფლო სამეურნეო მიწების იჯარის აუქციონთან დაკავშირებით გავრცელდა **53 050** ცალი სარეკლამო ბუკლეტი.
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით შექმნილია ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის პრივატიზების დეპარტამენტის მოდული გაშვებულია რეალურ რეჟიმში.

სააგენტოში მიმდინარე პროექტები

- სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“



სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მონაწილეობს მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ პროგრამაში „აწარმოე საქართველოში.“ სააგენტოს ჩართულობა ვლინდება ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტში და ამისათვის პროექტის საწყის ეტაპზე საქართველოს მასშტაბით შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამის ობიექტების ნუსხას დაემატა კიდევ რამდენიმე ობიექტი, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე.

2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში 75 ბენეფიციარისთვის გადაცემულია **17 699 762** ჯამური ღირებულების უძრავი ქონება. მოსალოდნელი ინვესტიციების ოდენობა კი შეადგენს **101 675 688** ლარს.

- პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“.



პროექტი ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტურ განკარგვას.

პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ადგილობრივი ფერმერები, მიწათმოქმედები და მეწარმეები. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული აუქციონების შესახებ ბუკლეტები მუდმივად ვრცელდებოდა მიმდებარე სოფლებში (გამგეობებსა და სოფლის

მოსახლეობაში) და სააგენტოს რეგიონულ ცენტრებში. 2016 წელს სააგენტომ მოახდინა **53 050** ცალი სარეკლამო ბუკლეტის **1000-ზე** მეტ სოფელში გავრცელება.

- **არქივის ინვენტარიზაციის პროექტი**



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 25 ნოემბრის N 1-1/336 ბრძანების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მართვაში გადაეცა სამინისტროს არქივი და პასუხისმგებელია მის დამუშავებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე. სამინისტროს არქივი მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1936 წლიდან იმ ლიკვიდირებული სამინისტროების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ დოკუმენტებს, რომელთა სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის საარქივო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია ერთიანი, დაზუსტებული ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა, მიმდინარეობს სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2016 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- საარქივო დოკუმენტაციის პროგრამული უზრუნველყოფა - **46** საქმე.

- ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელი გახდა აღნიშნულ რეგიონში კერძო საკუთრებაში არსებული და ამავდროულად პროექტისათვის აუცილებელი მიწების გამოსყიდვა. საკითხის ეფექტურად გადაწყვეტისათვის მოცემული პროცესი ჩამოყალიბდა პროექტის სახით, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს ჯამურად გაიხარჯა **230 712,60** ლარი. 2014 წელს სახელმწიფომ გამოისყიდა 40 ობიექტი, რომელთა სანაცვლოდაც კერძო მესაკუთრეებს გადაერიცხათ **201 082,60** ლარი. 2015 წელს განხორციელდა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, რის საფუძველზეც ააიპ „მიწის მესაკუთრეთა ასოციაციასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 19 900 ლარზე, რომელიც საფუძველზე გამოკვლეული იყო კერძო საკუთრებაში არსებული გამოსასყიდი ნაკვეთების რაოდენობა. 2015 წლის განმავლობაში აღნიშნულ პროექტზე სულ გახარჯულია **11 205** ლარი, საიდანაც მესაკუთრეებს კომპენსაციის სახით გადაერიცხათ **10 165** ლარი, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში გაიხარჯა **36 060** ლარი.

სააგენტოს 2016 წლის 6 თვის საქმიანობის შეჯამება

2016 წლის პირველ ნახევარში სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას სტრატეგიული ამოცანების შესაბამისი მიმართულებით ახორციელებდნენ და დასახული ამოცანები უმეტესწილად შესრულებულია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია:

- აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდის მიმართულებით, კერძოდ აქტიურად ხორციელდება შეხვედრები პოტენციურ ინვესტორებთან და მათთვის საჭიროების შესაბამისად ობიექტების მომზადება, ასევე დაიგეგმა რეგიონებში გაყიდვების სტიმულირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.
- გაგრძელდა ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი, რომლის ფარგლებში ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების აღმოჩენა, აღწერა და რეგისტრაცია. პროექტის წარმატებით დასრულება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეფექტურად მართვის და განკარგვის უზრუნველყოფას.
- უწყვეტად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მინიმიზაცია-ოპტიმიზაციის კუთხით და ამ მიმართულებით პროგრესი აშკარაა, თუმცა, სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად კვლავ რჩება აღნიშნული საკითხი. შესაბამისად, ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.
- სახელმწიფო ქონებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2015 წლის ბოლოს განხორციელდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სერვისების დელეგირება სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“. მიმდინარე წელს კი აქტიურად მიმდინარეობდა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება სააგენტოს ვებ-გვერდის, ფეისბუქ გვერდის და სარეკლამო რგოლების მეშვეობით.
- სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის საქმიანობაში და აგრძელებს მუშაობას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მოქალაქეების ინფორმირებულობის გაძლიერებისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებებით.